

ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #55

2025წ. 24 ოქტომბერი 13.00 საათი

ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა.ხუჯაძე, ა.კილაძე,
ლ.დავითაშვილი, მ.კაკაურიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, გარემოს დაცვის კომისიების
წევრები

ნინო ბაგაშვილი - სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე

ა.ცინცაძე

სხდომის თავმჯდომარე ა.ცინცაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა
გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის
წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიდოში, ასმათის ქუჩა, N50 და N52-ში; ქალაქი თბილისი, სოფელი დიდოში, ასმათის ქუჩა, N52-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.303.004, ფართობი: 884 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(საკრებულოს N:12-0325275104-03 07.10.2025წ.)

2. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.002.1031, ფართობი: 1 511 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(საკრებულოს N:12-0325275104-03 07.10.2025წ.)

3. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა N82-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.36.001.533, ფართობი: 1 677 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(საკრებულოს N:12-03252901-03 07.10.2025წ.)

4. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა N37-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.244, ფართობი - 2 545 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(საკრებულოს N: 12-03252901-03 17.10.2025წ.)

5. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, წყნეთის ხევი N11; წყნეთის გზატკეცილი, I ჩიხი, N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: N01.14.14.002.117 - ფართობი 539 კვ.მ; N01.14.14.002.164 - ფართობი 193 კვ.მ; N01.14.14.002.128 - ფართობი - 654 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(საკრებულოს N:12-032529663-03 23.10.2025წ.)

1. მოისმინეს:

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა კომისიების წევრებს წარუდგინა „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N50 და N52-ში; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N52-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.303.004, ფართობი: 884 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 7 აპრილის N01250973995-67 (N01251132800-67; N01251621577-67; N012520753-67) განცხადებით მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N50 და N52-ში ; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N52-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.303.004) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.72.14.303.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=2.5), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.1-დან კ-2=2.5-მდე, რაც გულისხმობს 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 8 (რვა) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01250973995-67 (N01251132800-67; N01251621577-67; N012520753-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N002449025, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 17 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 861 294 ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების

შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 164,056.00 (ას სამოცდაათი ათას ორმოცდათექვსმეტი) ლარით.

2. მოისმინეს:

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი იქნა, აგრეთვე, „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.002.1031, ფართობი: 1 511 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.3-მდე, რაც გულისხმობს 2 (ორი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 8 (რვა) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N012525681-67 (N01252622655-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N005606325, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 1 511 000,00 ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 483,520.00 (ოთხას ოთხმოცდასამი ათას ხუთას ოცი) ლარით.

3. მოისმინეს:

ნინო ბაგაშვილმა დეპუტატებს გააცნო „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა N82-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან

(საკადასტრო კოდი: N01.19.36.001.533, ფართობი: 1 677 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 15 სექტემბრის N01252583333-67 (N01252741286-67) განცხადებით მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა N82-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.001.533) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.19.36.001.533 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=5.4), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.4-მდე, რაც გულისხმობს 2 (ორი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 15 (თხუთმეტი) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

N01252583333-67 (N01252741286-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N006052625, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 12 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 3 432 819 (სამი მილიონ ოთხას ოცდათორმეტი ათას რვაას ცხრამეტი) ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 597.012 (ხუთას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას თორმეტი) ლარით.

4. მოისმინეს:

კომისიის წევრებმა განიხილეს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა N37-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.244, ფართობი - 2 545 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2025 წლის 28 აგვისტოს წარდგენილი N012524039-67 (N01252624515-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქუჩა N37-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.244) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.11.13.002.244 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.0), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

დაინტერესებული პირის მიერ, წინამდებარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.0-მდე, რაც გულისხმობს 2 (ორი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 12 (თორმეტი) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

N012524039-67 (N01252624515-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N005132525, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 7 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 683 081 ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების

შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 336 616.20 (სამას ოცდათექვსმეტი ათას ექვსას თექვსმეტი და ოცი მეასედი) ლარით.

5. მოისმინეს:

ნინო ბაგაშვილმა დეპუტატებს გააცნო „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, წყნეთის ხევი N11; წყნეთის გზატკეცილი, I ჩიხი, N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: N01.14.14.002.117 - ფართობი 539 კვ.მ; N01.14.14.002.164 - ფართობი 193 კვ.მ; N01.14.14.002.128 - ფართობი - 654 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2025 წლის 16 ივლისს წარდგენილი N01251973496-67 (N01252092964-67; N01252602325-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, წყნეთის ხევი N11; წყნეთის გზატკეცილი, I ჩიხი, N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.14.14.002.117; N01.14.14.002.164; N01.14.14.002.128) მესაკუთრეებმა (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.14.14.002.117; N01.14.14.002.164; N01.14.14.002.128 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების, სანაცვლოდ (კ-2=5.0), გამოხატეს მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=5.0-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 6 (ექვსი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 14 (თოთხმეტ) სართულიანი შენობის განთავსებას. დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა, კერძოდ, ქალაქ თბილისში, წყნეთის ხევი N11-ში არსებულ 193.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ. 01.14.14.002.164) კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 5.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 395,071 (სამას ოთხმოცდათხუთმეტი ათას სამოცდათერთმეტი) ლარს, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი I ჩიხი N13-ში არსებულ 654.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ. 01.14.14.002.128) კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 5.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,508,778 (ერთი მილიონ ხუთას ოცდა ოთხ ათას შვიდას სამოცდათერთამეტი) ლარს, ხოლო, ქალაქ თბილისში, წყნეთის ხევი N11-ში

არსებულ 539.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. 01.14.14.002.117) კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 5.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,103,333 (ერთი მილიონ ას სამი ათას სამას ოცდაცამეტი) ლარს.

სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრებმა სხდომაზე განხილული საკითხები შეაფასეს დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ზემოაღნიშნული საკითხების საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ა.ცინცაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

 ა.ცინცაძე